ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 167

"25" ნოემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. დიღომი 7-ში გრიგოლ ფერაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული სამი შესახვევისთვის და სამი ჩიხისთვის გოდერძი ჩოხელის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და ,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილებისა და "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, გრიგოლ ფერაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ სამ შესახვევს და სამ ჩიხს მიენიჭოს ქართველი მწერალის, სცენარისტის და კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X_481124.9395
Y_ 4628373.4629
X_481199.8719
Y_ 4628293.5731
X_481435.4579
Y_ 4628506.137
III შესახვევი
X_481263.585
Y_ 4628225.6448
X_481496.3123
Y_ 4628438.8912
II შესახვევი
X_481301.1695
Y_ 4628185.5739
X_481538.1545
Y_ 4628394.9796
I შესახვევი
ოდიშელიძის ქუჩა
X_481390.9641
Y_ 4628089.231
X_481577.747
Y_ 4628259.4948
III ხიბა
X_481454.9703
Y_ 4628019.9908
X_481661.1427
Y_ 4628194.427
II ხიბა
X_481646.8684
Y_ 4628125.2406
X_481513.125
Y_ 4627957.0807
I ხიბა
X_481635.4291
Y_ 4627856.3047